საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავაძე ილია ყაისარის ძე

თავაძე ილია ყაისარის ძე (26. XII. 1905, სოფ. ნატანები, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, – 9. XI. 1973, თბილისი), ფილოსოფოსი. ფილოს. მეცნ. დოქტორი (1964), პროფესორი (1965), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). სკკპ წევრი 1931-იდან. დაამთავრა მოსკ. პედ. ინ-ტი (1934). 1938-იდან იყო საქ. კპ ცკის მდივანი აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში, 1943–46 – სა ქართვ. სახელმწ. კონტროლის სახ. კომისარი, 1946–49 – სსრკ საელჩოს პირველი მდივანი პარიზში, 1951–53 – სსრკ ელჩი სირიასა და ლიბანში, 1953–55 – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყ-ბის გამგე, 1955–73 – შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის რექტორი. საქ. სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. კპ ცკ-ის წევრი (1938–47), ცკ-ის ბიუროს წევრი (1938–43). იკვლევდა მატერიალ. დიალექტიკისა და მარქსისტული ესთეტ. პრობლემებს. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მშვენიერების პრობლემა მარქსამდელი ესთეტიკის ისტორიაში, თბ., 1962; მხატვრული გემოვნების აღზრდის საკითხისათვის, თბ., 1961; О категориях материалистической диалектики, «ფილოსოფიის ინ-ტის შრომები», 1957, ტ. 7.